ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №03-08/143

ქ. ქობულეთი **25 დეკემბერი 2020 წელი**

ერთის მხრივ სსიპ კოლეჯი „ახალი ტალღა“ (შემდგომში - შემსყიდველი), წარმოდგენილი დირექტორის ლაშა ხახუტაიშვილი სახით (შემდგომში - შემსყიდველი) და მეორეს მხრივ შპს „ალტა რითეილი“ ს/კ 402033312 წარმოადგენილი დირექტორის გიორგი ჟურულის პ/ნ 01008010904 სახით (შემდგომში - მიმწოდებელი), „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის „ს1“ ქვეპუნქტის საფუძველზე დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში – „ხელშეკრულება“) _ შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელი – ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება“ – საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3. „დღე“, „კვირა“, „თვე“ – კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. „შემსყიდველი“ – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. „მიმწოდებელი“ – პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურებას ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6. „საქონელი “–ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს კოლეჯის 2020 წლის საბიუჯეტო (ხაზინა) სახსრებით, დანართი №1-ით გათვალისწინებული სახელმწიფო შესყიდვა, დანართი №1-ი წარმოადგენს ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს;

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 3710.00 (სამი ათას შვიდას ათი) ლარს.

3.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მისაწოდებელი საქონელის მოწოდებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს, რომლის გადახდაზე პასუხისმგებელია მიმწოდებელი.

4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

4.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.

4.2. ანგარიშსწორება განხორციელდება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მიწოდებულ საქონელზე შესაბამისი მიღება–ჩაბარების აქტისა და შესაბამისი ზედნადების წარმოდგენიდან არაუგვიანეს 2020 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით..

4.3 ანგარიშსწორება განხორციელდება ლარებში წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული „მიმწოდებელი“–ს საბანკო რეკვიზიტებზე.

5. მიღება-ჩაბარების წესი

5.1 საქონელი ჩაითვლება მიღებულად მიწოდებულ საქონელზე შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

5.2 კოლეჯის მხრიდან საქონლის მიღება-ჩაბარებას ახორციელებს სსიპ კოლეჯის „ახალი ტალღა“ მატერიალური რესურსების უზრუნველყოფის კოორდინატორი ზაზა მეგრელიძე პ/ნ 61004002519 მისი შვებულების ან მივლინების პერიოდში საქონლის მიღება ჩაბარებას კოლეჯის მხრიდან უზრუნველყოფს კოლეჯის ლოჯისტიკი ბიჭიკო ჯინჭარაძე პ/ნ 61004072020;

5.3 მოწოდებული საქონლის მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

5.6 შემსყიდველი ვალდებულია ოპერატიულად, წერილობითი სახით, აცნობოს მიმწოდებელს საბოლოო შემოწმების შედეგები დაწუნებული საქონელის და წუნდების მიზეზის მითითებით.

6. საქონელის მიწოდების ადგილი და ვადა

6.1 საქონლის მიწოდების ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 2 სამუშაო დღის ვადაში;

6.2 საქონლის მიწოდების ადგილია ქ.ბათუმი ჭავჭავაძის/ლ.ასათიანის 31/56-52;

7. მხარეთა უფლება მოვალეობები

7.1 შემსყიდველი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს მიმწოდებლის მიერ მოწოდებული საქონელის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და წინამდებარე ხელშეკრულების დანართით გათვალისწინებული საქონლის რაოდენობის შესაბამისად.

7.2 მიმწოდებელი უფლებამოსილია:

ა) მოსთხოვოს შემსყიდველს მოწოდებული საქონელის ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

7.3 მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და წინამდებარე ხელშეკრულებაზე თანდართული დანართით გათვალისწინებული საქონლის რაოდენობის და ტექნიკური პარამეტრების შესაბამისად საქონელის მიწოდება.

ბ) მიმწოდებელი ვალდებულია საქონლის (არსებობის შემთხვევაში მომსახურების) მიღებისთანავე განახორციელოს წუნდებული საქონელის (არსებობის შემთხვევაში მომსახურების) ჩანაცვლება შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯის გაწევის გარეშე. საქონელი (არსებობის შემთხვევაში მომსახურება) უნდა აკმაყოფილებდეს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ხარისხს რაზეც პასუხისმგებელია მიმწოდებელი.

8.ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება

8.1. ხელშეკრულების ფარგლებში საქონლის მოწოდების ინსპექტირებას ახორციელებს სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯის „ახალი ტალღა“ დირექტორის 2014 წლის 05 თებერვალს №01-05/18 ბრძანების საფუძველზე შექმნილი კონტროლის განმახორციელებელი ინსპექტირების კომისია.

8.2 ინსპექტირება გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების, აგრეთვე მოწოდებული საქონლის ხარისხის კონტროლს.

8.2. ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

9.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,02%-ის ოდენობით.

9.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10 (ათი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

10. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

10.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%–ზე მეტი ოდენობით.

10.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

10.5. მხარე ვალდებულია 10.4 პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.

10.6. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

11.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

12. სხვა პირობები

12.1 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, რომელზეც შესრულებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა ან/და დასმულია კვალიფიციური ელექტრონული შტამპი, კანომდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად და ინახება ხელშეკრულების დამდებ მხარეებთან.

13. გარანტია

13.1 მყიდველი მოცემული ხელშეკრულების ხელმოწერით ადასტურებს, რომ პროდუქციის მიწოდებისას მას გადაეცა საგარანტიო ტალონი ,რომლითაც განსაზღვრულია, საგარანტიო ვადა და საგარანტიო მომსახურების პირობები. მყიდველი ადასტურებს, რომ ის ეთანხმება აღნიშნულ პირობებს.

13. 2 საგარანტიო ტალონი წარმოადგენს მოცემული ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და გააჩნია ხელშეკრულებასთან გათანაბრებული ძალა.

13.3 მიწოდებულ საქონელზე ვრცელდება გარანტია საგარანტიო ფურცელზე მითითებული ვადით (გარანტია 2 წელი) .

13.4 ქარხნული დეფექტის და ნაკლის აღმოფხვრის ვადა 45 (ორმოცდახუთი) სამუშაო დღე.

14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

14.1 ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2021 წლის 01 მარტის ჩათვლით.

15.ფორს-მაჟორი

15.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს სანქციების გამოყენებას თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

15.2. ამ მუხლის მიზნებისათვის "ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადასალახავ და მათი კონტროლისაგან დამოკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული ,,შემსყიდველისა" და/ან ,,მიმწოდებლის" შეცდომებსა და დაუდევრობასთან.

15.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყონებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითიშ ეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის დამიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

16. „შემსყიდველი"–ს იურიდიული მისამართი და რეკვიზიტები

16.1 „შემსყიდველი"– სსიპ კოლეჯი „ახალი ტალღა" ს/კ 246954620;

16.2 „შემსყიდველი"–ს საბანკო რეკვიზიტები: მიმღების ბანკი: სახელმწიფო ხაზინა, მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, ბანკის კოდი: TRESGE22,

16.3 „შემსყიდველი"–ს მისამართი: ქ. ქობულეთი, რუსთაველის ქუჩა №154;

17. „მიმწოდებელი"–ს იურიდიული მისამართი და რეკვიზიტები

17.1 „მიმწოდებელი"–შპს „ალტა რითეილი" ს/კ 402033312;

17.2 „მიმწოდებელი"–ს საბანკო რეკვიზიტები: სს ,,თიბისი ბანკი" ბანკის კოდი: TBCBGE22,

ა/ა GE68TB 788 913 608 010 0005.

17.3 „მიმწოდებელი"–ს მისამართი: იურდ: საქართველო, აკაკი ბელიაშვილის ქ.104, ფაქტ:ქ.ბათუმი ჭავჭავაძის/ლ.ასათიანის 31/56-52;

„შემსყიდველი" - სსიპ კოლეჯი „ახალი ტალღა".

კოლეჯის დირექტორი: ლაშა ხახუტაიშვილი

„მიმწოდებელი"- დირექტორი: გიორგი ჟურული

დანართი N1

პროდუქციი დასახელება	კოდი	განზ.	რაოდ.	ფასი	ჯამი	წყარო
digital camera /canon EOS 80D 18-55 IS 20,2MP,3,0"1,040K -DOT VARI-ANGLE TOUCHSCREEN (ფოტოაპარატი	38651000	ცალი	1	3710	3710	სახელმწიფო ხაზინა
ჯამი					**3710**	

შემსყიდველი:
სსიპ კოლეჯი "ახალი ტალღა"-ს დირექტორი: ლაშა ხახუტაიშვილი

მიმწოდებელი :
შპს ,,ალტა რითეილი"-ს დირექტორი: გიორგი ჟურული